შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №137

2010 წლის 23 დეკემბერი
ქ. ბათუმი

რსუ-ს ფაკულტეტების სასწავლო დეპარტამენტებში კურატორის საქმიანობის ორგანიზების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, რსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, რსუ-ს ფაკულტეტების დებულებების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რსუ-ში სასწავლო პროცესის და სტუდენტთა აღმზრდელობითი საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზების მიზნით ყოველი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების კონკრეტული სასწავლო წლის სტუდენტთა ჯგუფს დაენიშნოს კურატორი შესაბამისი სასწავლო დეპარტამენტის პროფესორთა შემადგენლობიდან.

2. კურატორის ვალდებულებებია:

ა) შეადგინოს სამუშაო გეგმა;

ბ) გაეცნოს ჯგუფის სტუდენტებს, რსუ-ში წარმოებულ მათ პირად საქმეებსა და სოციალურ მდგომარეობას;

გ) განახორციელოს ლექცია - სემინარებზე საკურატორო ჯგუფის სტუდენტთა დასწრების მონიტორინგი და სისტემატიური გაცდენის შემთხვევაში ხელი შეუწყოს მიზეზის გამოვლენასა და აღმოფხვრას.

დ) ორგანიზება გაუწიოს სტუდენტის მიერ აკადემიური რეგისტრაციის გავლას, საჭიროებისას დაეხმაროს მათ სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში. ასევე კონტროლი გაუწიოს სტუდენტის მიერ საშუალედო შემოწმების დროულად შესრულებას;

ე) სისტემატურად გააცნოს ჯგუფის სტუდენტებს რსუ-ში მოქმედი სამართლებრივი აქტები, მიაწოდოს მათ ინფორმაცია საუნივერსიტეტო ცხოვრების ძირითად მოვლენებზე;

ვ) ხელი შეუწყოს ჯგუფის სტუდენტებს მათი არასასწავლო საქმიანობის (დასვენება, ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, მუსიკალური საღამოების) სათანადო ორგანიზებაში;

ზ) ყოველ სემესტრში ერთხელ მოაწყოს ჯგუფის სტუდენტთა ერთობლივი შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, საგნების პროფესორ-მასწავლებელებთან;

თ) თავისი მუშაობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს ინფორმაცია შესაბამის სასწავლო დეპარტამენტს, ყოველი სემესტრის ბოლოს კი - შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს.

2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ალიოშა ბაკურიძე**